„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო"

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი ● №1-2 (9474-75) ● 1-31 იანვარი ● ფასი 1 ლარი

2019 წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ფოტოკოლაჟი

განახლდა, აშენდა, ჩატარდა

მუნიციპალიტეტის მერიაში

საახალწლო ნობათები

2020 წლის მეორე დღე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან და მოადგილესთან კახაბერ

კუპრეიშვილთან ერთად, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების რაიონული სამსახურის პერსონალთან და სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველებთან სტუმრობით დაიწყო. „უდიდეს მადლიერებას და პატივისცემას გამოვხატავ იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც პროფესიული მოვალეობის შესრულება 24 საათიან რეჟიმში უწევთ. ასევე, მათ მიმართ, ვინც ამ წუთებში ქვეყნის სამსახურში, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან. მათ, ხშირად, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება საკუთარი სიცოცხლის ფასად უწევთ. მინდა თითოეულ მათგანს მადლობა ვუთხრა ქვეყნისა და ხალხის სამსახურში დგომისთვის და ბედნიერება, სიმშვიდე, სიუხვე ვუსურვო" - აღნიშნა ლევან კუპრეიშვილმა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების რაიონული სამსახურის პერსონალსა და სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველებს, საახალწლო ნობათი გადასცა და წარმატებული 2020 წელი უსურვა.

„სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით“

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილე კახაბერ კუპრეიშ-

ვილთან, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტთან მარინე კვარჭაიასთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) წარმომადგენლებს - თინათინ ტყეშელაშვილს, ოთარ კონჯარიასა და გვანცა ირემაშვილს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული პროექტის - „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით" - განხორციელების ეტაპები, რაც ითვალისწინებს ნოქალაქევში, მდ. ტეხურის ხეობაში, რეკრეაციული ზონის განვითარებისთვის სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციების მოწყობას, რაც მუნიციპალიტეტში, ტურიზმის განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდება. აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, გამარჯვება მოიპოვა UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, პროექტის - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) - ფაზა 2 - ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში. პროექტი ფინანსდება გაეროს განვითარების პროგრამისგან (UNDP), შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობებისგან.

შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან

ახალი წლის დადგომამდე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან და მერის მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად, წარმატებულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს შეხვდა.

შეხვედრას მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რამაზ კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ცენტრის დირექტორი ჯუმბერ ლაშქარავა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2019 წელი გამორჩეული იყო მრავალფეროვანი სპორტული მიღწევებითა და ასპარეზობებით. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს სპორტსმენებს სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და არაერთი ჯილდოს მოპოვებისთვის. ამაყი ვარ, რომ სენაკელმა სპორტსმენებმა საერთაშორისო, რესპუბლიკურ, რეგიონულ და მუნიციპალურ ტურნირებსა და ჩემპიონატებში წარმატებით იასპარეზეთ. დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ და კიდევ უფრო დიდ წარმატებას გისურვებთ" - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და დასძინა, რომ 2020 წელს სენაკს თანამედროვე სტანდარტების ხუთი განახლებული სპორტული მინი მოედანი შეემატება. ჩვენი სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნის კუთხით კი, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროექტები იგეგმება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

საშობაო ალილო

სენაკში, შობის მახარობლებმა, მოსახლეობას მაცხოვრის შობა გალობით ახარეს. სასულიერო პირების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და „ალილოს" მრევლის მსვლელობა, საწინამძღვრო ჯვრების, შობის ხატისა და დროშების თანხლებით, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან დაიწყო და სენაკის ცენტრალური ქუჩების გავლით, სახვითი ხელოვნების გალერეასთან დასრულდა. ტრადიციულ მსვლელობაში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ

კუპრეიშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მერიას დაქვემდებარებული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს. საშობაო ალილოზე შეგროვებული ნობათი მზრუნველობამოკლებულ მოხუცებს, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცემათ. ალილოს ტრადიცია საქართველოში V-VI საუკუნეებიდან იღებს სათავეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ტრადიცია 2000 წლიდან აღდგა. ქრისტეშობის სადღესასწაულო მსახურება ეკლესიებსა და მონასტრებში, შობის ღამეს, ყველა სარკმელთან დანთებული სანთელი - მაცხოვრის დაბადების სიმბოლო - უწმინდესის კურთხევაა და მისი მეოხებით აღდგენილი ტრადიცია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

2020 წლის 28 იანვარს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა. 1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია.

საკრებულოს ბიუროს სხდომა

2020 წლის 27 იანვარს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა. 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე. მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი.

ქონების მართვის კომისია

2020 წლის 20 იანვარს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული ოყო ერთი საკითხის განხილვა. 1. სენაკის მუნიციპალიტეტის ხელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ. მომხსენებელი იყო საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია.

ალექსი დემურია,
საკრებულოს მთავარი სპეციალისტ საინფორმაციო საკითხებში

„მრავალ ახალ წელს, ჩემო მამულო“

ახალ წელი გამორჩეულად აღინიშნა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. სენაკის № 1 საჯარო სკოლის IV[1] კლასის მოსწავლეებმა(სკოლის დირექტორი ნინო გოგელიძე, მასწავლებელი მანანა მიშველია) მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დარბაზში წარმოადგინეს თემატურად მრავალფერონი მუსიკალურ-თეატრალური კომპოზიცია „მრავალ ახალ წელს ჩემო მამულო”.

წამყვანებმა ნიკოლოზ ნიკოლავამ და ელო დგებუაძემ ქართული პოეზიის ნიმუშებით მშვიდობიანი ცის ქვეშ ცხოვრება, ლამაზი ოცნებების ახდენა უსურვეს თანატოლებს, დამსწრე საზოგადოებას.

კომპოზიციის მონაწილე მოსწავლეებმა: გიორგი მიქაძემ, მათე მეფარიშვილმა, ანასტასია თადუმაძემ, ლუკა ცომაიამ, საბა მიმინოშვილმა, რეზი ქაჯაიამ, ანასტასია მარკოზიამ, ნინო ჯინორიძემ, მარიამ ინჯგიამ, დათუნა შონიამ, გიორგი ძაძამიამ, ელენე კვინიკაძემ, ანდრია ჩარგეიშვილმა, მარიამ სოსელიამ, ილია ბედიამ, ელენე ცაავამ, ბარბარე ოდიშარიამ, ილონა ჭანტურიამ, ელენე წულაიამ მაღალმხატვრულად აჩვენეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში წარმოდგენილი საშობაო-საახალწლო ტრადიციები, რწმენა –წარმოდგენები. სახელდახელოდ მომზადებულ ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა სამეგრელოში, აფხაზეთში, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, სვანეთში, აჭარაში და ა.შ. გავრცელებული და ტრადიციად ქცეული წეს-ჩვეულებები. ცეკვებს სიმღერა ენაცვლებოდა, სიმღერას ლექსი და პოეზიად ნათქვამი: „მილოცვა –საგალობლები”.

მოწვეული რეჟისორის ვეფხვია გორგოძის, ქორეოგრაფ ლაშა ხევსურიანის, კლასის დამრიგებლის მანანა მიშველიას ჩართულობით მომზადებულმა სანახაობამ დარბაზის მოწონება დაიმსახურა.

კომპოზიციას „მრავალ ახალ წელს, ჩემო მამულო” ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დარეჯან ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ №1 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელები გამოირჩეოდნენ გამართული მეტყველებით, სასიამოვნო დიქციით, მუსიკალური და ქორეოგრაფიული შესაძლებლობებით, რაც მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე პედაგოგის მანანა მიშველიას დამსახურებაა. კლასის დამრიგებელი თანამშრომლობს მშობლებთან. ისინი აღნიშნავენ, რომ მანანა მასწავლებელი გამოირჩევა პროფესიონალიზმით მოსწავლეების სულში წვდომის შესანიშნავი უნარით. იგი სწავლების თანამედროვე მეთოდებით აღწევს მოსწავლეებისათვის ყველაზე ძვირფასი განცდის -ცოდნის მიცემას.

ახალი წელი ახალ იმედებს აღძრავს ყოველი ადამიანის გულში. მთელ დედამიწაზე, ზღვის ქვეშეთში, ცის ქვეშეთში ერთიანი ძალით ეძებს საძიებელს, აგნებს მანამადე მიუგნებელს, სახავს ახალ მიზნებს. გვჯერა 2020 წარმატებული იქნება პირველსკოლელებისათვის და საერთოდ მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

მ. ეჯიბია

ფაქტი, მოვლენა, კომენტარი

სენაკის წარსულის მოკლე მიმოხილვა

მოგახსენებთ ჩვენი ქალაქის დაარსებისა და წარსულის კვლევის შედეგად მიღებულ რამდენიმე მონაცემს, რომელიც ფაქტობრივ მასალაზეა დამყარებული. ის, რომ ახალი სენაკის დაარსებას უკავშირებენ რკინიგზის სადგურის გახსნას არა სწორია. არც ის არის სწორი, რომ თავიდან შექმნა ახალი სენაკის მაზრა, მოდით, ფაქტების მოშველიებით თანმიმდევრობით განვიხილოთ ეს საკითხები.

გაზეთ „კოლხეთის” კორესპოდენტი, ისტორიკოსი ი. გვასალია ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომ ახალი სენაკი დაარსდა 1858 წელს. თუმცა არ მოყავს არცერთი წყარო თუ რატომ მიიჩნევს ასე.

ცნობილია, რომ მე- 19 საუკუნის შუა პერიოდში შეიქმნა ახალი სენაკი, რომლის პირველი უფროსი გახლდათ რუსი მოხელე კორნელი ბოროზდინი. ამ რუსმა მოხელემ გამოსცა წიგნი „სამეგრელო და სვანეთი”, სადაც დეტალურად აღწერს ახალისენაკის ჩამოყალიბებისა და მაშინდელი მდგომარეობას .

აი, რას წერს თავისი წიგნის 132 გვერდზე. „კოლუბლიანკინმა (ეს ქუთაისის გუბერნატორია) სამეგრელოში ოლქის უფროსის ადგილი შემომთავაზა. დურკლიასის შტატების თანახმად სამეგრელო გაყოფილი იყო სამ ოლქად: ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისად. პირველ ოლქში დაინიშნა თავადი რაფიელ ერისთავი (ეს არის ზუგდიდი) მეორეში მე- ანუ ახალსენაკში და მესამეში თავადი კონსტანტინე მიქელაძე. ყოველივე მეტად სწრაფად მოხდა რადგან სამეგრელო მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო და საქმის გადადება არ შეიძლებოდა. ენკენისთვის დამდეგს სამივენი ჩვენ-ჩვენ ალაგს ვიყავით.” ამონარიდი წიგნიდან.

რა იყო ეს მძიმე მდგომარეობა ?

1855 წელს აფხაზეთს შემოესია თურქეთის არმია ომერ ფაშას სარდლობით. მან დაიკავა აფხაზეთი და შემოვიდა სამეგრელოში. ქართულმა და რუსულმა არმიამ ვერ შეაჩერა მტერი. სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე- დადიანისა გაიქცა ზუგდიდიდან, ჩამივიდა ქვაშიხირში. ანუ (ქუაშ- ოხორუში). ეს ჩვენი შხეფია და აქ მარიამ დადიანის სახლში იმალებოდა. ომერ ფაშა თხოვნის წერილებს უგზავნის დედოფალს და სთხოვს ზუგდიდში დაბრუნებას, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია, სამეგრელოს დედოფალს ეშინია. თურქი სარდლისაგან მიღებულ ყოველ წერილს რუს გენერლებს უგზავნის, ისინი კი ურჩევენ პასუხისაგან თავი შეიკავოს. ომერ ფაშამ დედოფლის ადგილსამყოფელი რომ გაიგო, წამოვიდა ზუგდიდიდან და თეკლათში (დღევანდელ მენჯი) თავად ივანე მხეიძის სახლში დადგა, ივანეს მეტსახელად „კინტირიას” ეძახდნენ. თეკლათიდან სურდა ეწარმოებინა თურქ სარდალს მოლაპარაკება სამეგრელოს დედოფალთან, მაგრამ ეკატერინემ საშიშროება იგრძნო და შვილებიანად გადასახლდა საზაფხულო რეზიდენცია „გორდში ”

ომერ ფაშამ საწადელს ვერ მიაღწია. დალაშქრა აფხაზეთი და სამეგრელო, მაგრამ 1856 წელის დასაწყისში მიიღო დავალება საკუთარი ჯარები ყირიმში გადაეყვანა.

რატომ დამჭირდა ამ მონაცემის მოტანა? იმიტომ რომ კორნელი ბოროზდინი წერს, რომ ჩემი ოლქის უფროსად დანიშვნის „პირველ ხანებში მე ვერ დავბინავდი ჩემს რეზიდენციაში დაბა ახალსენაკში. (მიაქციეთ ყურადღება გამოკვეთილად უთითებს დაბა ახალსენაკშიო.) რადგან საოლქო სამმართველოსთვის სახლი ჯერ არ იყო აშენებული, ამიტომ სოფელ თეკლათში ვიშოვნე ბინა, თავად ივანე მხეიძესთან, რომელსაც აქ დიდი ხის სახლი ედგა. ასეთი სახლი იმ ხანებში იშვიათი იყო. ...ერთი წლის წინათ ამავე სახლში კინტირიას ომერ ფაშა ეყენა” (გვერდი 232)

ესე იგი, თუ ომერ ფაშამ სამეგრელო 1856 წლის დასაწყისში დატოვა და იმავე სახლში ერთი წლის შემდეგ ახალსენაკის ოლქის ახლად დანიშნული უფროსი ბოროზდინი მივიდა, გამოდის რომ ქუთაისის გუბერნიამ, მისმა რუსმა გუბერნატორმა კოლუბლიაკინმა ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმი ოლქები შექმნა 1867 წელს და როგორც კორნელი ბოროზდინი აცხადებს, ისინი ენკენის, (ანუ სექტემბრის)დასაწყისში თავ-თავიან ადგილებზე იყვნენ. დაჩქარებით იმის გამო, რომ თურქებისაგან მიყენებული დარბევითა და არეულობით ისარგებლეს რუსებმა და საკუთარი მმართველობა დააწესეს, ორ ოლქში ქართველი თავადი დანიშნეს, ახალსენაკში კი რუსი. თუმცა სამეგრელოს სამთავრო ფორმალურად 1867 წლამდე დარჩა .

მეორე ფაქტი, რომელიც ამყარებს ჩემს მტკიცებას,, რომ სენაკის ოლქი 1867 წელს დაარსდა, გახლავთ, ის რომ ამ პერიოდს დაემთხვა გლეხთა აჯანყება უტუ მიქავას ხელმძღვანელობით. კორნელი ბოროზდინი აქტიურად მონაწილეობს ერთმანეთთან მოდავე მხარების მორიგებაში. უტუ მიქავა და მისი მომხრეები 1858 წლის იანვარში გაასამართლეს. ეს ცნობილია და თუ ახალი სენაკის ოლქის უფროსი აჯანყებულთა დაშოშმინებაში მონაწილეობს. ეს უთუოდ მიანიშნებს, რომ ოლქის უფროსი 1857 წელს უკვე დანიშნულია.

თუ როდის ეწოდა ჩვენს ქალაქს ახალსენაკი და ვინ დაინიშნა ოლქის პირველ მართველად ცხადია. როდის გახდა ახალი სენაკი სამაზრო ცენტრი?

1867 წელს სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე- დადიანისა შვილებითურთ გაიწვიეს პეტერბურგში.ამის შემდგომ გაუქმდა სამეგრელოს სამთავრო. შეუერთდა ქუთაისის გუბერნიას, ამის შემდეგ მოხდა ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა და შეიქმნა, ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრები.

ანუ ახალი სენაკის მაზრა შეიქმნა 1867 წელს და იარსება 1935 წლამდე.

რკინიგზის ლიანდაგის ფოთი- ყვირილა (იგივე ზესტაფონის) ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით ახალისენაკის რკინიგზის სადგური გაიხსნა და პირველი მატარებელი ყვირილიდან დაბა სენაკის რკინიგზის სადგურში შემოვიდა 1874 წლის 14 აგვისტოს.

სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციოს ცნობარში რკინიგზის სადგურის გახსნის მხოლოდ წელია მითითებული. და არა თვე და რიცხვი. ასევე აღნიშნულია, რომ ძველი-სენაკი იყო მხარის მთავარი სავაჭრო ადგილი და სენაკის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი. ამ ცნობის პირველი ნაწილი სწორია, მაგრამ ძველი სენაკი არასდროს ყოფილა არც ოლქის და არც მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი.

აი რას წერს კორნელი ბოროზდინი ახალი ადმინისტრაციული სახლის აგებაზე. გვ. 240 .

„ქვაშიხორს იქეთ, ერთ ვერსზე დაბა ახალსენაკი იყო, ჩემი მომავალი რეზიდენცია, სადაც სახლს ვაშენებდი საოლქო მმართველობისთვის. აქ ვაშენებდი აგრეთვე სატუსაღოსა და ყაზახ- რუსების სადგომ ყაზარმებს. სენაკში ბაზარი იყო, რამდენსამე რიგად ხის დუქნები ჰქონდათ ჩამორიგებული და კარგი ვაჭრობაც იყო გაჩაღებული. ყოველ პარასკევს ყველა მხრიდან მოდიოდნენ სოფლელნი თავიანთი ნაწარმოების გასასყიდად. წელიწადში რამდენიმე ბაზრობა იმართებოდა ხოლმე.”

ადმინისტრაციული სახლის, სატუსაღოსა და ყაზარმებს ოლქის უფროსი დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე, რომ აშენებდა ისიც მოწმობს, რომ მან თეკლათში (დღევანდელ მენჯში ტერიტორიაზე იქირავა საცხოვრებელი სახლი,) რომ მშენებლობის მიმდინარეობისთვის კონტროლი ადვილად გაეწია.

წარმოშობით ძველი სენაკელი ვარ. დიდი ხანი ვიზრდებოდი ბებია- ბაბუასთან, ჩემი წინაპრებიდან ბაბუა- დაბადებული იყო 1892 წელს და არასოდეს მახსოვს ეთქვას ოლქის ან მაზრის ადმინისტრაციული შენობა, სატუსაღო და ყაზარმები ჩვენთან არსებობდაო. არც სხვებისაგან მსმენია ეს, თანაც არ არსებობს ადმინისტრაციული შენობის და არც კაზაკ- რუსების ყაზარმების ნანგრევები.

ამასთან, დაბა ახალი - სენაკის ტერიტორიას ძველ- სენაკთან შედარებით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ის მდებარეობდა გზაჯვარედინზე: ფოთი, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს გზების გასაყარზე.

ახალი- სენაკი, როგორც სამაზრო ადმინისტრაციის ცენტრი. 1867 წლიდან 1935 წლამდე არსებობდა.

ხელთ მაქვს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, რომელსაც ხელს აწერს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ჟღენტი. დადგენილება ხელმოწერილია 1935 წლის 17 ივნისს სადაც წერია რომ „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომოტეტი ადგენს.”

„სენაკის რაიონს ეწოდოს მიხა ცხაკაიას რაიონი. ქალაქ სენაკს- მიხა ცხაკაია .ხოლო სენაკის რკინის გზის სადგურს- სადგური მიხა ცხაკაია. ”

ჩვენი რაიონი და ქალაქი „მიხა ცხაკაიას” სახელწოდებას ატარებდა ორი ათეული წელი. შემდეგ „მიხა” გაუქმდა ანუ მოაშორეს და დარჩა ცხაკაიას რაიონი და ქალაქი ცხაკაია. მხოლოდ რკინიგზის სადგურს დაურჩა სახელწოდება „მიხა ცხაკაია“.

ჩვენს რაიონსა და ქალაქს თავისი ძველი სახელწოდება „სენაკი“ აღუდგა 1989 წელს, გადაწყვეტილებას ხელს აწერს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. დგებუაძე და აღმასკომის მდივანი მ. ჩაჩავა. რაიონული გადაწყვეტილებით ისინი სთხოვენ საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს გადაწყვეტილების დამტკიცებას. რაც მალევე დამტკიცდა.

ახალ - სენაკს ქალაქის სტატუსი მიენიჭა 1921 წელს. მანამდე 1857 წლიდან, 1922 წლამდე ითვლებოდა დაბად.

ბორის დავითაია

სენაკის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში

სენაკის წმ. ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლური სკოლა-გინმაზია წამყვან როლს ასრულებს რეგიონის საგანმანათლებლო სივრცეში. გიმნაზიელები შთამბეჭდავი წარმატებებით გამოირჩევიან რო-

გორც სწავლაში, ასე კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების მომზადებაში. სკოლას ჰყავს საგნობრივ რესპუბლიკური ოლიმპიადებში და არაერთ მასშტაბურ პროექტებში გამარჯვებული მოსწავლეები.

ყოველ 9 იანვარს გიმნაზიელები გამორჩეულად აღნიშნავენ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს შობას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. სხვადასხვა წლებში ნორჩმა თეატრალებმა დამსწრეთ მაღალი სამშემსრულებლო ოსტატობით უჩვენეს სპექტაკლები „სამი ამბავი შობაზე“, „საშობაო სიმღერა“, „იყო შაშვი მგალობელი“ საშობაო ზღაპარი“ და სხვა.

2020 წლის 9 იანვარს მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მიუზიკლით „ქეთო და კოტე” (ლიბრეტოს ავტორი ვიქტორ დოლიძე).

არ არის ადვილი შეჭიდება ისეთი პოპულარულ და ამავე დროს

მხატვრული თვალსაზრისით მეტად ფასეულ ნაწარმოებთან, როგორიცაა „ქეთო და კოტე“. მუსიკალური ელვარების, თეატრალური სისხარტის, მოხდენილი სცენური დრამატურგიის მეოხებით ქართული მუსიკის ისტორიაში მან სამართლიანად დაიმკვიდრა ეროვნული კომიკური ოპერის ჟანრის კლასიკური შედევრის ადგილი. გიმნაზიელებმა ოსტატურად გამოკვეთილი სახეებით შეძლეს პერსონაჟების წარმოჩენა. დამსწრე საზოგადოება მოხიბლა ახალგაზრდა ლამაზმა ინტელიგენტებმა ქეთომ (ანანო კალანდარიშვილი) და კოტემ (ზურაბ წულეისკირი), გაკოტრებულმა თავადმა ლევანმა (ლუკა ნაკაშია), ვაჭარმა მაკარმა (გიგი გუგუნავა) კომიკურობით გამოირჩეოდნენ კინტოები სიკო და საქო, სახასიათო და მრავალმხრივ საინტერესონი იყვნენ ხანუმა (ნინო ძიგუა), თეკლა (ელენე ნაკაშია), ბაბუსი (სიდონია ჭანტურია)

მიუზიკლში მონაწილეებდნენ:

ლიკა კოკაია, გიორგი გეგენავა, დავით ნინუა, გურამ კილასონია, გიგი ოკუჯავა, გიორგი შამათავა, ანანო წულეისკირი, გიორგი ჯანჯღავა, გიორგი სვანიძე, ანა ბჟალავა, ბადრი დოლბაძე, ნინი გაბელაია, ნინი თუნთია, ედა კოკაია, სანდრო ლომაია, ნინი ქათამაძე, ლუკა თოლორდავა, ანა ჯოჯუა, ელენე ფაჩუაშვილი, ელენე ქაჩიბაია, დავით მალანია, მარიამ ანთია, ანანო სამინავა, ლიკა ჯგერენაია, გიორგი გიორგაძე, ანანო ღაღანიძე.

მიუზიკლზე მუშაობდნენ: მზია ჩემია(სცენარი), შორენა გრიგოლია, დიმიტრი გრიგოლია, (მუსიკალური გაფორმება) ვალერი დემურია, (ქორეოგრაფი) მაკა მაკალათია, ზაზა ჯანჯღავა (მხატვრები)

სკოლა-გიმნაზიის დირექტორმა ქალბატონმა ნინო ჯანჯღავამ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მადლობა გადაუხადა სკოლის ესთეტიკის კათედრას, მონაწილეებს მიუზიკლის მომზადებისათვის. ქალბატონმა ნინომ

დამსწრეთ გააცნო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მიტროპოლიტის შიოს საშობაო მილოცვა. აღნიშნა, რომ მის ყოვლადუსამღვდელოესობას დიდი სურვილი ჰქონდა დასწრებოდა ღონისძიებას, რაც დატვირთული გრაფიკის გამო ვერ მოახერხა.

გიმნაზიელების სიხარული გაიზიარეს მოწვეულმა სასულიერო და საერო პირებმა, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი),სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მოძღვრებმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, საჯარო სამსახურების სხვა ხელმძღვანელმა პირებმა, ადგილობრივი და რეგიონალური მედიის წარმომადგენლებმა.

მიუზიკლს მაღალი შეფასება მისცეს მიტროპოლიტმა იოანემ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა.

ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა შობის დღესასწაული მიულოცა და შემდეგი წარმატებები უსურვა მოსწავლეახალგაზრდობას. აღნიშნა, რომ ადამიანებს არ უნდა დაავიწყდეთ ჭეშმარიტი გზა, უფლის გზა.

მიუზიკლმა „ქეთო და კოტე“ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

გაზეთ „კოლხეთის“ ჟურნალისტებს ყოველწლიურად გვაქვს შესაძლებლობა გავეცნოთ გიმნაზიელების შემოქმედებას. გაიზარდნენ, თვალსაზიერი გაიფართოვეს ახალგაზრდებმა, სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა შეითვისეს, აამაღლეს საშემსრულებლო კულტურა, დახვეწეს მუსიკალური შესაძლებლობები...

ყოველივე ეს მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექციისა და პოფესიული ასპექტით წარმოჩენილი პედაგოგების მიზანმიმართული შრომის შედეგია.

რედაქცია ულოცავს გიმნაზიის მოსწავლეებს, პედაგოგებს შობის დღესასწაულს, უსურვებს სიახლეების აღმოჩენას და დანერგვას.

მედეა ბაღათურია

რაჟდენ ჯიქია-100

ღვაწლმოსილი

2019 წელს შესრულდა 100 წელი საქართველოს სპორტული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლის რაჟდენ (კოკი) ჯიქიას დაბადებიდან.

24 დეკემბერს სენაკის სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში თავი მოიყარეს რაჟდენ ჯიქიას სახელოვანმა შთამომავლებმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელებმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, №2 საჯარო სკოლის პედაგოგებმა, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმა, რაჟდენ ჯიქიას მეზობლებმა.

საიუბილეო საღამოს მონაწილეებს მიესალმა რაჟდენ ჯიქიას ქალიშვილი, სენაკის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი ლუარა ჯიქია. მან მოკლედ გააცნო საზოგადოებას მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსსახსოვარი დეტალები.

საგანგებოდ გაკეთებულ ეკრანზე ერთმანეთს ცვლიდა კოკი ჯიქიას საქმიანობის ამსახველი ფოტომასალები, მისი შვილების, შვილიშვილების, ბადიშების

ცხოვრების აღმნიშვნელი ძირითადი მომენტები.

საიუბილეო საღამოზე მოეწყო მიმოზა ჯიქიას ლექსების - „მიწა დამაკემსინე” პრეზენტაცია. მიმოზა ჯიქიას ქართული და მეგრულენოვანი ლექსები მაღალმხატვრულად წაიკითხა აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობმა გიორგი ჭანტურიამ.

მიმოზა ჯიქია ნიჭიერი და მრავალმხრივ განსწავლული ქალბატონია, პროფესიით გერმანისტი, გეოლოგია. მეუღლესთან გენადი მამაგულაშვილთან ერთად სამი შვილი აღზარდა თამარი, სალომე, ნინო. თამარი ექიმია, სალომე უცხოური ენების სპეციალისტი, ნინო საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტია.

საიუბილეო საღამოზე წარმოდგენილ თვალსაჩინო მასალებს შორის იყო ბუკლეტი, რომელიც მნახველს აძლევდა შესაძლებლობას გაცნობოდა მიმოზა ჯიქიასეულ სიბრძნეს, მეტაფორებს, ამონარიდებს ლექსებიდან. შემდეგ იუბილარის ბადიშებმა ნიკოლოზ და ლიზი კარტოზიებმა „კოლხურ

(გაგრძელება გვ. 5)

(გაგრძელება)

ტრიოსთან“ ერთად (დარეჯან ფაჩულია, ეკა კოღუა, ბელა ქამადაძე) შეასრულეს მეგრული და აფხაზური სიმღერები.

საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა რაჟდენ ჯიქიას ქალიშვილის სენაკის საპატიო მოქალაქის, ინგლისის გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის ხელმძღვანელის, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის გამოსვლას. მან გაიხსენა ბავშვობის წლები, ისაუბრა მამის ავტორიტეტზე, სპორტულ მიღწევებზე, ოჯახურ ტრადიციებზე.

ქალბატონი ლიანა ლონდონში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მრავალი ჯილდოს და ტიტულის მფლობელი ქალბატონი ყოველწლიურად 10-12 საქველმოქმედო ღონისძიებას ატარებს. 2019 წელს ევროკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით ზალკანიანათან ერთად გადასცა ჯილდო, როგორც მსოფლიო მასშტაბის ქველმოქმედ პიროვნებას.

დამსწრეთ ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა ვიდეოეკრანზე გასცნობოდნენ ლიანას ქალიშვილის ანა გოგრიჭიანის ნახატებს, კერამიკულ ნამუშევრებს. მან არაერთხელ მოაწყო გამოფენა-როგორც საქართველოში, ასევე ბრიტანეთში.

ანას ჯერ კიდევ 5 წლის ასაკში გადაეცა „გულადობის სახელმწიფო ორდენი“. 19-ჯერ აქვს მიღებული ბრიტანეთის ყველაზე ცნობილი ჯილდო „Apollo Awards“-ის ტიტული, არის პრინცესა დიანას სახელობის პლატინის მედლის მფლობელი, როგორც ლონდონის „ყველაზე ახალგაზრდა ქველმოქმედი“, აქვს „სიმამაცის მედალი”. თავისი ნამუშევრების გაყიდვიდან აღებული თანხით ეხმარება ქართულ ეკლესიას, შეჭირვებულ ბავშვებს. საკუთარი დანაზოგით ყიდულობს პატარა აპარატს, რაც ახალდაბადებულ ჩვილის გულის ოპერაციის შემდეგ, გულის მაგივრად მუშაობს.

შემდეგ დამსწრეთ წინაშე კვლავ ლუარა ჯიქია წარსდგა ნაშრომების-„კოლხური სონეტი №1” და „კვირისდღეთა სახელდება კოლხურში“ - ანოტაციით

აღნიშნული კორესპონდენციები დაიბეჭდა გაზეთ „კოლხეთში“. ღრმა მეცნიერული ხასიათის პირველ ნაშრომში იკვეთება აზრი, რომ „კოლხური კოსმოგონია დედაბოძია კაცობრიობის კოსმოგონიისა“, ხოლო მეორე „პაწია წერილში“ როგორც ავტორი ამბობს, მოყვანილი საკითხები „საკაცობრიო აზროვნების მარადიული განსჯა – შეჯერების უსასრულობაა“.

ვიდეომასალების ჩვენებას უზრუნველყოფდა რაჟდენ ჯიქიას შვილთაშვილი ლიკა ფაჩულია. ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ მის ესეებს „უსასრულობა“, „სარკმელი პარალელურ სამყაროში“, ლიკა 2019 წლის ესეების კონკურსის ლაურეატი გახლავთ.

მოგონებებით გამოვიდნენ იუბილარის შვილიშვილები ეკა, რამაზ, და კობა კარტოზიები.

გაიხსენეს როგორ უფრთხილდებოდა ბაბუა ბავშვებს, პატივს სცემდა მათ აზრებს და შეხედულებებს. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ბებია და ბაბუას (ლიდა შავდიას და რაჟდენ ჯიქიას), უკონფლიქტო, ჰარმონიული ურთიერთობით.

მოწვეულ სტუმართა შორის იმყოფებოდნენ კოკი ჯიქიას ნამოწაფარები: კაპიტონ ცხადაია და გიორგი დოლბაძე. კაპიტონი 96 წლისაა, გიორგი 94-ის. ისინი ხობის რაიონში ცხოვრობენ. მაშინ მეშვიდე-მერვე კლასის მოსწავლეები იყვნენ, 4-5 წლით უმცროსები მასწავლებელზე.

კაპიტონ ცხადაიამ მადლობა გადაუხადა ჯიქიების ოჯახს მოწვევისათვის და აღნიშნა - კოკი მასწავლებელი ჩვენი მეგობარი იყო. ის მარტო ფიზკულტურას კი არ გვასწავლიდა, არამედ ჩვენს ასაკობრივ პრობლემებზეც გვესაუბრებოდა. დიდობისას კი მივხვდით, რად გვალაპარაკებდა. თურმე ჩვენ დაცლა გვჭირდებოდა ემოციათაგან, მას კი ჩვენს მასწავლებელს, ჩვენი ცხოვრების სწორად წარმართვა განეზრახა...

ისე ოსტატურად აგვიყოლიებდა, რომ რაც რამ გვიფიქრია, ავი თუ კარგი „ყველაფერს ვფქვავდით“ მოსწრებაზე, ის კი ჩვენი დიდი მეგობარი იცინოდა, ლაღობდა და გვალაღებდა.

გიორგი დოლბაძე – დღეს ძალიან ბედნიერი და აღელვებული ვარ. პატივცემული ჩვენი მასწავლებელი კოკი ჯიქია 100 წლისა შესრულდა. ჩვენც ღვთის წყალობით, მალე 100-ს „მივუკაკუნებთ“, რადგანაც არ მეგულება უკვე კიდევ ვინმე იყოს ცოცხალი მის მოსწავლეთაგან, ჩვენს ვალად მიგვაჩნია ლამის 74-78 წლის წინანდელი სათქმელით დღეს ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის, კოკი ჯიქიას ხსოვნის წინაშე მოკრძალებით მოვიდრიკოთ ქედი.

მადლობა კოკი მასწავლებლის შთამომავლებს, იმისთვის, რომ ასე აფასებენ წინაპარს, ასეთ მოწიწება-პატივისცემას გამოხატავენ უფროსი თაობისადმი.

ანზორ ცაგურია – სენაკის სასპორტო გაერთიანების სპეციალისტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაჟდენ ჯიქიამ თავისი მრავალწლიანი უანგარო საქმიანობით საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა, ამგვარი „ერთგულების“ სტაჟით ბევრი ვერ დაიტრაბახებს ჩვენს ქვეყანაში. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ადამიანების ვინაობის სამზეოზე გამოტანა. გადის წლები და სამწუხაროდ, დიდებულ სპორტსმენთა სახელები თანდათან დავიწყებას ეძლევა. ადამიანის სახელის უკვდავყოფაში საზოგადოებასთან ერთად უდიდეს როლს ასრულებს ოჯახი. ბატონი კოკი ჯიქიას ოჯახი, მისი შთამომავლები საქართველს თუ ევროპის სხვადსხვა ქალაქებში ისე წარმატებულად მოღვაწეობენ, ისე სახელოვნად აგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს, რომ რაჟდენ ჯიქიას სახელი ვარსკვლავივით იკაშკაშებს ცის კაბადონზე. ემოციებით დატვირთული მივდივარ საიუბილეო საღამოდან, მადლობა მის ორგანიზატორს ქალბატონ ლუარა ჯიქიას და ჯიქიების დიდ ოჯახს.

საიუბილეო საღამოს წამყვანმა ქალბატონმა ლუარამ აღნიშნა, რომ მზად აქვს წიგნი, სადაც წარმოადგენს ცხოვრებას და მოღვაწეობას ქვეყნისა და საზოგადოების თავდადებული, ღირსეული მოქალაქის რაჟდენ ჯიქიასი. წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი წერს:

„იდეა წიგნის შექმნისა წარმოიშვა კოკი-რაჟდენ ჯიქიას ოჯახში, სადაც თითოეული წევრის მოღვაწეობაც კამკამებს მათი თანამედროვე სამშობლოს გასაკეთილშობილებლად. თითოეული მათგანი, მომდინარე წინაპართაგან, საქართველოს-სამშობლო ქვეყნის უერთგულესი ძეა თუ ასული, რადგანაც წინაპართა მსგავსად, ყველამ უწყის:

„არა შურისა და ღვარძლისათვის გაგვაჩინა უფალმა,

არამედ-მოყვასის დანდობისა და წმინდა სიყვარულისათვის,

არა მონური ქედდადრეკისათვის, არამედ-ჯანყისათვის მონობის წინააღმდეგ,

არა-თავგასულობა-თავხედობისათვის, არამედ-ღირსებისა და პატივისცემისათვის ღირსეულთა მიმართ და ასამაღლებლად განდრეკილთა.

არა- ზღვარდაუდები მიწიური ქონების ხვეჭისათვის,

არამედ-ზღვარდადებული მიწიურობისათვის.

არა-მძლავრება-ჩაგვრისათვის სუსტუმწეოთა,

არამედ-აღდგინება-თანადგომისა და ნუგეშისცემისათვის დავრდომილთა

და ... მრავალთა, სიკეთეთა, ათასთა და ფასდაუდებელთათვის...

(ამონარიდი ლ.ჯიქიას წიგნიდან „საუკუნიდან საუკუნემდე”)

კოკი ჯიქიას სიცოცხლე გრძელდება შვილებში ლუარა, მიმოზა, ლიანა, ნუგზარ, გივი ჯიქიებში და მათ მრავალრიცხოვან შთამომავლებში, რომელთა რეგალიების ჩამოთვლა, წარმატებების აღნუსხვა ერთ საგაზეთო წერილში ვერ ხერხდება.

დასასრულს გვინდა მოვიყვანოთ ეკა კარტოზიას სიტყვები: „საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ერთდროულად სამ განზომილებაში ცხოვრობს:წარსულში, აწმყოსა და მომავალში. ვერ ველევით წარსულს, დღევანდელობა არ გვახსოვს და მომავლისათვის ვიბრძვით...

და კიდევ „ჩვენ იმდენად ძლიერი ფესვებიდან მოვდივართ, უფლება არა გვაქვს მოვწყდეთ საკუთარ ფესვებს. ქართველები სანამ საკუთარ ფესვებს არ დაივიწყებენ იცხოვრებენ ორ სოფელსა შინა და სამ განზომილებაში. სანამ ეცდებიან ამ სამების განვითარებას, საქართველოს ვერაფერი მოერევა”.

შთაბეჭდილებათა წიგნში თავიანთი აზრები დააფიქსირეს სტუმარებმა და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს.

მ. ბაღათურია,
მ. გერგაია

თაობა

ესეების კონკურსის გამარჯვებული

ლიკა ფაჩულია სენაკის №2 საშუალო სკოლაში სწავლობდა. სწავლის წლებში გამოირჩეოდა ნიჭიერებით და შემოქმედებითი უნარით.

მან 2017 წელს დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტი, მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი. შემდეგ სწავლა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაზე. ამჟამად სწავლობს IT STEP აკადემიაში, გრაფიკა და დიზაინის მასტერის განხრით.

ლიკა ფაჩულია ბავშვობიდან წერს ლექსებს, ჩანახატებს, მოთხრობებს, მხატვრულ ესეებს. გაზეთ „კოლხეთის" მკითხველებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ესეს „უსასრულობა". 2019 წლის ოქტომბერში გაზეთმა „ახალი განათლება" გამოაქვეყნა" ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლის (ISIE) მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული ესე „სარკმელი პარალელურ სამყაროში".

ვულოცავთ ნიჭიერ გოგონას ესეების კონკურსში გამარჯვებულის ტიტულის მოპოვებას, ვუსურვებთ წარმატებებს.

იმედია ლიკა ფაჩულია მომავალშიც გააგრძელებს თანამშრომლობას რესპუბლიკურ და რეგიონალურ მედიასაშუალებებთან. „კოლხეთის" მკითხველები კვლავაც შეძლებენ ლიკას ახალი ლექსების, მოთხრობების და ჩანახატების გაცნობას.

სარკმელი პარალელურ სამყაროში...

სარკე

- აჰა, გიყურებ! შემომხედე! მხედავ? - ოთახის სიბნელე ჩემი ხმის მსგავსმა ცივმა და უსიცოცხლო ხმამ გაჰკვეთა. უცებ ხმისაკენ შევტრიალდი და ჩემს წინ დავინახე ჩემი სახე, სახე, რომელიც სარკის სამყაროდან ცინიკურად მიმზერდა. შემაჟრჟოლა. ნეტა, რამდენად განვსხვავდებით ერთმანეთისგან? თითქოს ერთი ადამიანის ორი სახე იყო იმ დღეს იქ: - როგორც იქნა, დამინახე! - მან ისევ დაიწყო საუბარი. ხმა კიდევ უფრო გაეყინა: - აბა, მოგწონვარ? - რამდენიმე წუთს სერიოზულად ვფიქრობდი რა მეპასუხა. ვეღარ მიმხვდარიყავ, ეს სიზმარი იყო თუ რეალობა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ამ ორიდან, ის ისეთი რეალური და სულისშემძვრელი იყო, რომ რაღაც მომენტში ადგილზე მივიყინე კიდევაც. ამ ფიქრებით გართულმა ვიგრძენი, როგორ მიყურებდა სარკის სამყაროდან მეორე მე და მაკვირდებოდა. შიშნარევი მზერით გავხედე და იმ წამსვე ვინანე - მან მწარედ გაიცინა და ამათვალიერა: რას დაემსგავსე?! იმ წამსვე საკუთარი თავი შევათვალიერე: წესით, ყველაფერი ჩვეულებრივ მეცვა, არაფერი შემცვლოდა. გავბრაზდი: განა ის ჩემი ანარეკლი არ იყო?! განა ისიც ასე არ გამოიყურებოდა?! რა უფლებით იცინოდა ჩემზე?! გაბრაზებულმა ავხედე და სანამ რამეს ვეტყოდი, მის მზერაში ის დავინახე, რაც ჩემს მზერაში ხშირად ჩნდებოდა. წამით ენა დამება. ეს დაცინვაც ხომ სიმბოლური იყო: განა გულის სიღრმეში ჩემი ქვეცნობიერი ასე არ დამცინოდა?! განა მის მზერაში დანახული ის უცნაური ნაპერწკლები, ჩემი მზერის ნაწილი არ იყო?! შიში იმისა, რომ დროს უაზროდ ვხარჯავდი ან იმედგაცრუება ამ სამყაროსადმი. განა ამ მზერას თვითონაც არ ვხედავდი სარკეში? ...და მაინც, მისი სიცილი გულის დამწყვეტი იყო. იყო მასში რაღაც ისეთი, რაც ჩემს ვითომ მშვიდ სამყაროს ჯერ აზანზარებდა და ამ ზანზარით ანადგურებდა. უცბათ სიცილი შეწყვიტა და დამელაპარაკა, დამელაპარაკა ისეთი ტონით, თითქოს მე ვიყავი მის წინაშე დამნაშავე.

- გინდა რომ მსგავსად ვიქცე მეც?! გინდა რომ შენს უბადრუკ სამყაროში ჩამკეტო?! ნუთუ გგონია, რომ მოგცემ უფლებას მომკვეცო ფრთები, რომელსაც ამდენი საუკუნე ვიზრდიდი და ვუფრთხილდებოდი?! ნუთუ გგონია, რომ შენთან ერთად იმ ჭის ძირში დავრჩები, სადაც მხოლოდ ტალახია?! იმედია, არა გგონია, რომ ჩემი ცხოვრების გალევის უფლებას მოგცემ! - ყოველი მისი სიტყვა ნემსი იყო, გასროლილი ჩემი სულისკენ, მაგრამ ვიცოდი, რომ სიმართლეს იძახდა, სირცხვილით თავი დავხარე და ახედვას ვერ ვბედავდი. მისი ისედაც გაბრაზებული ტონის კიდევ უფრო მძლავრი და შემაძრწუნებელი ყვირილი გაისმა. ამ ხმამ მთლიანად დამშალა, ის ნაწილიც დაამსხვრია, რაც დამრჩენოდა შემომხედე -მეთქი! - დაიგრგვინა მისმა ხმამ. შიშით ავხედე - ის კი მარტო არ იდგა, მის უკან იყო ჩემთვის უცნობი სამყარო, რომელიც ცეცხლს და ყინულს ერთდროულად მოეცვა. უცბათ გვერდზე გაიწია და, თითქოს, უფლება მომცა მისი სამყარო დამენახა. მერე ისევ წინ გადამეღობა და ცალი ხელით ცეცხლი აიღო, მეორეთ კი ყინული. მსგავსი მხოლოდ ფილმებში მენახა და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს ჩემი ფანტაზიის ნაწილი იყო თუ არა, რადგანაც ის ძალიან რეალური იყო. იმდენად რეალური, რომ ვიგრძენი როგორ გაიღვიძა რაღაც ძალიან ძველმა ჩემს სულში, როგორ მოედო ჩემს სხეულს ყინულის სიცივე და როგორ აალდა ჩემი სული ცეცხლივით... შეშინებულმა გავხედე, მაგრამ უნდა ვაღიარო, ეს შეგრძნებები სასიამოვნოც იყო: შეგძნება იმისა, რომ შემეძლო ყველა დადებული ბორკილი დამედნო და ნაცრად მექცია. მანაც გაიღიმა, თითქოს იგრძნო, რასაც ვგრძნობდი

-დღეიდან ეს ჩვენი სამყაროა! მეყო შენი უბადრუკი ცხოვრება! - უეცრად წინ წამოიწია და სარკის სამყაროდან ხელი გამოჰყო, დავფრთხი და უკან გავიწიე, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მას ჩემი ხელი ეპყრა: ამ წამიდან მე და შენ ერთნი ვართ! შენში ჩემი ჩაძინებული ცეცხლი იგიზგიზებს! - მისი ხელიდან ცეცხლი ჩემს ხელზე გადმოვიდა, ისევ შევფრთხი და გულმა გამალებით დამიწყო ძგერა. თავიდან ვიფიქრე, ეს შიში იყო. შიში იმისა, რომ ცეცხლი დამწვავდა, მაგრამ რამდენიმე წამში მივხვდი, რომ ეს სულის ხმა იყო. იმ სულისა, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძინა. სულისა, რომელიც რატომღაც ციხეში გამომემწყვდია. ჩემს ხელზე აალებული ცეცხლიდან მზერა ჩემს ანარეკლზე გადავიტანე, მისი მზერა კმაყოფილებით სავსე იყო. კმაყოფილებით, რომელიც მე არასოდეს განმეცადა. კიდევ უფრო მოიწია და მის მზერაში აალებული ცეცხლი დავინახე, ის ცეცხლი, რომელიც იმ წამიდან ჩემს მზერაში ინთებოდა და არ გეგმავდა ჩაქრობას.

- გრძნობ? - მკითხა კმაყოფილმა, მე კი სიტყვის თქმის უნარი დავკარგე. ვგრძნობდი, აბა, რა: როგორ შეიძლებოდა არ გეგრძნო მსგავსი?! მისი ცეცხლი სწრაფად ვრცელდებოდა ყველგან. ვგრძნობდი, როგორ ინთებოდა ახალი - ჩემთვისაც კი უცნობი კუნჭულები ჩემი სულისა, როგორ იღებოდა დახურული კარები, როგორ ვივსებოდი შეუცნობელი ძალით.

- ვგრძნობ... - ჩემთვის ჩავილაპარაკე და ვიგრძენი, როგორ წამსკდა ცრემლი, რომელიც სულის ცეცხლივით მდუღარე იყო.

- მოგწონს? - ისევ მკითხა მან და მეორე ხელით დახრილი თავი ამაწევინა. პასუხის გაცემა არ დამჭირვებია, ის ისედაც ხვდებოდა ჩემს პასუხს. - ამიერიდან მზერა არასოდეს დახარო! - ისევ მკაცრი ხმით მითხრა, - არ დაგავიწყდეს ჩვენ ერთნი ვართ! მე კი მზერას არასოდეს არ ვხრი, თავზე ხომ ზედმეტია საუბარი! - გაიცინა ადამიანურად, ისე როგორც მე ვიცინი ხოლმე იშვიათად, გავიფიქრე ნუთუ არის მასში რაღაც ჩემიც - მეთქი, - თავს მხოლოდ იმათ ვუხრი, ვინც დიადი სულის პატრონად მიმაჩნია! - შემდეგ მეორე ხელი ნაზად დამადო გულზე და ჩემი სხეული ყინულმა მოიცვა, ყინულმა, რომელსაც მეტალის ძარღვები მოჰყვებოდა ან, იქნებ, პირიქით იყო, ეს მეტალს მოჰყვებოდა ყინულის ძარღვები, თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმ წამს. მთავარი ის იყო, რომ ის ჩემს სხეულს სცვლიდა აგიზგიზებულ ცეცხლთან ერთად. ამიერიდან ჩემი სხეული გექნება: მკვრივი, ურყევი და შეუდრეკელი! - ისევ ცივად ჩაილაპარაკა და მკაცრად შემომხედა. რომელიც არ უნდა ყოფილიყო მეტალი თუ ყინული, ვიგრძენი როგორ გაიყინა ჩემი ვენები, როგორ სწრაფად დაიწყო სისხლმა ჩქეფა, რაღაცამ ხერხემალში გამმართა და მიწაზე მყარად დამაყენა, იმდენად მყარად რომ წამით მომეჩვენა რომ, ჩემს ქვევით სახლის იატაკიც კი გაიბზარა. ისევ უცნაური ძალის ცოცვა ვიგრძენი.

-ოჰო! - უნებურად წამომცდა. თითქოს შიგნიდან სულმა მიბიძგა და ჩემი სახის წინაშე პირდაპირ აღმოვჩნდი. ახლა მისი მზერის მსგავსად ჩემი მზერაც კმაყოფილი იყო. ვგრძნობდი როგორ იღვიძებდა ჩაძინებული გენეტიკა და იღვრებოდა ჩემში, როგორ მევსებოდა ყოველი მოლეკულა სხეულში და ყოველი ნაწილი- სულში გაუთავებელი, უძლიერესი ძალით, ენერგიით. მან ისევ გაიღიმა: ახლა მომწონხარ! - მე გაურკვეველი მზერით შევხედე, მან კი უცბათვე დაამატა - ბევრად უფრო მგავხარ! - გავიფიქრე ამ ყველაფრის მერე დავრჩებოდი კი იმად, ვინც ვიყავი თუ მთლიანად ჩემს მოპირდაპირედ მდგარ არსად ვიქცეოდი, მაგრამ სანამ ამ კითხვას გავაჟღერებდი, ვიგრძენი ჩემი დაბეჩავებული სულის ხმა: ის მე ვარ... და ეს ჩვენ ვართ! - გამახსენდა ბავშობა, როდესაც ჯერ კიდევ მისი ხმა მესმოდა ალაგ-ალაგ, ისევ გამეღიმა და მივხვდი, რომ ეს იმ ბავშვის ჩემი ვერსია იყო, რომელიც საკუთარი ნება-სურვილით გამოვკეთე: უაზრო კომპლექსებსა და ბორკილებში. შევხედე ჩემს თავს სარკეში და ისეთივე უცნაური ღიმილით გავიღიმე, როგორითაც ის მიღიმოდა.

-რამდენი წელია შენს გამოჩენას ველი... - მეგონა ჩემთვის ჩავილაპარაკე, მაგრამ მივხვდი, რომ თვითუნებურად აღმომხვდა ეს სიტყვები ბაგეებიდან.

- მაპატიე, დამაგვიანდა, ძნელი იყო შენამდე მოსვლა! - დამნაშავედ ვიგრძენი თავი. მასთან მივიწიე და, რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, სახეზე შევეხე, თითებით მისი ყოველი კუნჭული შევიგრძენი და მწარედ გავიღიმე. მაპატიე... გთხოვ - მაპატიო! - მან თბილად ჩაიღიმა და შუბლზე შუბლი მომადო ეს ჩემი საჩუქარი იქნება. მოულოდნელად ჩვენს ირგვლივ სამყარო დატრიალდა, არ ვიცი როგორ აღწერო: ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა, თითქოს ის სამყარო გაიხსნა, რომელიც ან ჩემს გაუცნობიერებლად, ან სამყაროს სურვილით ჩემთვის ჩაკეტილიყო: ყველა ჩაკიდული კლიტული გაიხსნა, ყოველი სულის გასაღები დამენახვა. ირგვლივ სამყაროს ხმა ჩამესმა. ჩამესმოდა ყოველი წინაპარის ხმა, რომელიც ჩემში საუკუნეებს მოეტანა. მესმოდა ბუნების საამური გალობა, რომელიც ხალხს დავიწყებოდა. სიმღერა, რომელიც კაცობრიობას დავიწყებოდა. ენა, რომელიც დროში დაკარგულიყო. მესმოდა სისხლის ხმა, რომელიც მიწაში ჩაკარგულიყო და მისთვის დაღვრილიყო. მესმოდა გოდებისა და მწუხარი დედების იავნანისა, რომელიც ყველას დავიწყებოდა. ამ ქაოსში მისი ხმა გავიგე, რომელიც ამჯერად მშვენივრად მომეჩვენა. ის ჩემს წინ აღარ იდგა და არც მე ვიდექი მის წინ. ჩემს ირგვლივ სხვადასხვა ძველ ქართულ სამოსში გამოწყობილი ქალებისა და მამაკაცების წრე იდგა, ის მათ შორის იყო და მიღიმოდა. ყოველი მათგანში საკუთარ სახეს ვხედავდი, სხვადასხვა საუკუნე, სხვადასხვა სახე.

- ო, ღმერთო! - ისევ უნებურად წამცდა, მან კი ისევ გამიღიმა და ჩემი აზრი დამიდასტურა. ისინი იყვნენ წინაპრები, რომლნიც ჩემში ცხოვრობდნენ. მინდოდა გამეღიმა, მაგრამ ეს რთული იყო. სამაგიეროდ ჩემს მაგივრად ჩემში აგიზგიზებულმა ცეცხლმა გაუღიმა მათ. იმ ღიმილით, რომელიც, როგორც სჩანს, მათვის ბევრის მთქმელი იყო. ისე დატრიალდა სამყარო. ჩემს წინ ისევ ის იდგა და მკაცრად იყურებოდა, მის უკან კი უკიდეგანოდ დაუსრულებელი ადამიანთა თუ არსებათა არსები იყვნენ, ისინიც მისნაირად უცნაური მოწყენილობითა და უცნაური სიბრაზით იმზირებოდნენ. მისი კარნახი აღარ დამჭირვებია იმის გარკვევაში, რომ ეს სხვა ადამიანებში ჩაკეტილი მათი არსი იყო. თითქოს ცრემლიც კი მომერია, ამდენი არსის ციხე, ამდენი დამწყვდეული სული და დრო, რომელიც რეალობაში არაფრისთვის იკარგება. ალბათ მათაც გავუღიმებდი, მაგრამ ეს ჩემს სულსაც კი არ შეეძლო. ისევ მისკენ წავიწიე და ნაზად ხელზე შევეხე, უმალ ყოველი მათგანის ტკივილი ვიგრძენი და თავშეუკავებლად მუხლებზე აქვითინებული დავეცი. რა მწარე იყო მათი სული, მათი არსი ამ - არ არსებულ რეალობაში. რომ შემძლებოდა ჩემს ცეცხლს მათაც გავუნაწილებდი, მაგრამ მათ ჩემი არ სჭირდებოდათ, საკუთარი გააჩნდათ, რომელსაც წამონთება სჭირდებოდა. ვიღაცამ წამომაყენა მასთან ერთად და მის გვერდით ჩემს წინ დადგა, მხარზე ხელი დამადო და შეძლებისდაგვარად გამიღიმა

-დაანახე მათაც! - ალბათ საჭირო იყო მეკითხა ვისთვის მემენახვებინა და რა- მაგრამ იმ მომენტში უფრო ბევრი ვიცოდი, ვიდრე ოდესმე მცოდნია. კარგად ვიცოდი, მოხუცი რასაც მეუბნებოდა, ვიცოდი, რა უნდა მენახვებინა და ვისთვის. მაგრამ ეს ისეთი ძნელი იყო, თუმცა ეს მე ვიყავი და ჩემს უკან ათასწლოვანი სიცოცხლის ხე იყო. გავიღიმე და უსიტყვოდ დავეთანხმე. ისევ დატრიალდა სამყარო, ისევ მე და ის დავრჩით. ამჯერა ჩვენს გარდა არავინ იყო, მხოლოდ მის უკან აღმართული ხე იდგა ტრიალ მინდორზე, რომელიც ჭკნებოდა. ისევ ეს სევდიანი მზერა და რამდენიმე სამყაროს მომცველი სიტყვა

-მენდე, ჩვენ ერთნი ვართ! - ხელი ჩამკიდა და ხისაკენ წამიყვანა. ჯერ თვითონ შეეხო და რაღაც ჩაულაპარაკა, შემდეგ სულში რაღაც წამოენთო, ისევ ვიგრძენი, როგორ მინდოდა მას შევხებოდი, როგორ სჭირდებოდა მას ეს შეხება. ხეს ხელი მივადე და უხეში და დამჭკნარი ქერქი ვიგრძენი. აშკარა იყო- კვდებოდა, რომ მისი არსი იკარგებოდა. არ ვიცი, რატომ, რისთვის, აღმოვჩნდი იმ ადგილას, იმ წუთას, მაგრამ ჩემმა სულმა იცოდა, რომ ხის მკურნალი იყო.

თავისუფალი ხელი მას ჩავკიდე და მტკიცედ შევხედე, მანაც მტკიცედ გამომხედა და ხელი მაგრად ჩამკიდა. ჯერ მიწამ იწყო ნათება ალაგ-ალაგ, შემდეგ ეს სინათლე ხის ძველის -ძველ ფესვებზე გადავიდა და მასში სისხლივით დაიწყო კლაკვნა, ნელ-ნელა ჩვენი ხელებიდან გადმოსულ სინათლეს შეუერთდა და ყველაფერი განათდა . ჩვენს შიგნით სული გიზგიზებდა იმ ძველიძველ ძალასთან ერთად, რომელიც ჩვენს ვენებში ჩქეფდა. ვნახე როგორ დაიწყეს გამწვანება უკვე დამჭკნარმა ფოთლებმა, როგორ გაჩნდა მდელოზე ნიავი, როგორ აყვავდა თვით ბალახიც კი. ეს განუმეორებელი შეგრძნება იყო. ჩვენს ირგვლივ სიცოცხლე ჩქეფდა. სიცოცხლე, რომელიც სიკვდილს მოეცვა ამდენი საუკუნე. ხეში ზუსტად ისეთივე ცეცხლი ჩქეფდა იმ ძალასთან ერთად, რომელიც ჩემს სხეულსა და სულში რამდენიმე წუთის წინ გაცოცხლდა. ბოლოს ვიგრძენი, როგორ აივსო ხე სიცოცხლით და ჩვენშიც ჰარმონია დამყარდა- ძველისძველ ძალასა და ახლად აგიზგიზებულ ცეცხლს შორის. მან ისევ გამიღიმა და ისევ შუბლი მიმადო. ირგვლივ ისევ იგივე ხმები აირია, ირგვლივ საამური ღმრთაებრივი გალობა გაისმა. მეც გავიღიმე და ამ ხმებში ჩემი ხმაც ვიპოვე. როდესაც თვალი გავახილე, ისევ სარკის წინ ვიდექი, ოღონდ უკვე - მარტო. ჩვენ ერთნი ვიყავით- ის და მე! ვგრძნობდი, როგორ გიზგიზებდა ცეცხლი, როგორი მკვრივი იყო ჩემი სხეული და, რა თქმა უნდა, სიხარულით ვგრძნობდი მის საჩუქარს „გონის თვალს". იმას, რამაც სამყარო მაპოვნინა. საკუთარ თავს ჩავხედე სარკეში და გულიანად გავიღიმე. გონებაში მისი ხმა ჩამესმა

- სიცოცხლის ხე ეს ჩვენ ვართ. ჩვენ ერთი ვართ! - დავეთანხმე, რადგან ამას იმ წამს მივხვდი, როდესაც ხეს შევეხე. მისი ძალა და ჩვენი ძალა მსგავსი იყო, არა, ერთნი ვიყავით, ეს ჩვენ ვიყავით. გამახსენდა პირობა მოხუცისათვის მიცემული და სულზე ხელი დავიდე, ის კი უმალ განათდა და მასთან ერთად ის ძლევამოსილი, ათასწლოვანი ან კიდევ უფრო ძველი ძალაც აალდა

- ეს მე ვარ! - თავაწეულმა შემოვძახე საკუთარ გამოსახულებას სარკეში და ის ძველისძველი გალობა წავიღღინე, რომელიც სხვისი სულებითვის უნდა წამემღერა.

ლიკა ფაჩულია

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲔᲚᲘᲐ

საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერ-მშენებელმა. მრავალი მედლის და ჯილდოს მფლობელმა, მაღალი ზნეობის და ერუდირებულმა პიროვნებამ ბორის იულონის ძე გადელიამ სამშობლოსა და ხალხის „მსახურების“ უბადლო მაგალითი დატოვა.

მას 1 თებერვალს 85 წელი შეუსრულდებოდა. დაიბადა 1935 წლის 1 თებერვალს ქ. სენაკში.

მამის ბატონ იულონ გადელიას გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ ბუღალტრად მუშაობის წლებში სწავლობდა დიდი ჭყონის არასრულ საშუალო სკოლაში. სკოლის 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. აღნიშნული სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა 1958 წელს.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობაში ტექნიკოსად. 1958 წელს ბორის გადელია ჩაირიცხა ქ. თბილისში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სხვადასხვა წლებში მუშაობდა გეგეჭკორის რაიონის სოფლების დიდიჭყონის, ვედიდკარის და აბაშის რაიონის სოფლების საბჭოთა მეურნეობებში ჯერ რიგითი ინჟინრის, შემდეგ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

1969 წელს ბორის გადელია საცხოვრებლად ქ. სენაკში გადავიდა და ცხაკაიას №2 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად დაინიშნა.

1974 წლიდან გამოცდილი სპეციალისტი ხობის რაიონში შრომით საქმიანობას იწყებს ჯერ უბნის, შემდეგ სამშენებლო სამმართველოს უფროსად. 1977 წლიდან ბორის გადელია საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა. მაღალკვალიფიციურმა და გამოცდილმა მშენებელმა ქ. მარნეულში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს №3 სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გააგრძელა შრომითი მოღვაწეობა.

ბატონი ბორისი გამოირჩეოდა მაღალორგანიზებულობით,მომთხოვნელობით, გულისხმიერებით, კოლეგიალობით. იგი გულმოდგინედ ზრუნავდა ქვეყნის კეთილმოწყობაგალამაზებისათვის, ხარისხიანი ნაგებობებით დამშვენებისათვის. დღესაც ალამაზებს ქალაქებს ბორის გადელიას ნაგები საცხოვრებელი კორპუსები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები, შიდა მიმოსვლის გზები. შემდეგ წლებში ბორის გადელია გადაყვანილ იქნა „საქსოფლქიმიის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად, სადაც მუხლჩაუხრელად იღვაწა საბჭოთა წესწყობილების დაშლამდე.

მისი შრომითი ბიოგრაფია აღსავსე იყო ძიებებით, მიგნებებით, სიახლეებით, წარმატებებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებლის წოდება, მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და მედალი, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, ასევე იმ რაიონების პირველი პირებიდან, სადაც კეთილსინდისიერად იმუშავა.

ბორის გადელია რვაშვილიან ოჯახში აღიზარდა. ყველაზე უფროსმა იზრუნა უმცროსი და-ძმის უმაღლეს განათლებასა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაზე. დღეს იულონ გადელიას სახელოვანი შთამომავლები ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან უბნებზე სახელოვნად მოღვაწეობენ და კეთილსინდისიერად აგრძელებენ საგვარეულო ტრადიციებს.

ბორის გადელია პიროვნული ინტერესით არ იფარგლებოდა, მთელი შესაძლებლობებით ცდილობდა ერგო ქვეყნისათვის. იგი უღალატო მეგობარი, ქველმოქმედი, ადამიანთა ჭირისა და ლხინის გულთან მიმტანი.

ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცმა მეუღლესთან, დინარა კორშიასთან ერთად აღზარდა სამი შვილი, ჰყავს ორი შვილიშვილი.

2011 წლის 4 იანვარს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯერაც ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეეძლო ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეს და გამოცდილ სპეციალისტს.

ბორის გადელიას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრების, ოჯახის, ახლობლების, იმ ადამიანთა მეხსიერებაში, რომელთანაც მეგობრული და სამსახურებრივი კონტაქტები ჰქონდა ღვაწლმოსილ კაცს.

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ შრომითი კოლექტივი

ᲘᲚᲣᲨᲐ ᲙᲔᲠᲫᲐᲘᲐ

40 დღე გავიდა, რაც ზეციურ სამყაროში დაიდე ბინა. შენი სახით ოჯახს დააკლდა მტკიცე საყრდენი, მეორე ნოსირის მოსახლეობას კი გამრჯე, შრომისმოყვარე, თანასოფლელთა ჭირ-ვარამის გამზიარებელი კაცი.

ჩვენო ილუშა, იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდი, რომელთაც თავიანთი ცხოვრების მიზნად მიაჩნიათ როგორც საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე, ისე „სხვათათვის“ ზრუნვა. შრომით განვლე წუთისოფლის გზა. რამდენიმე ათეული წელი იმუშავე ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობაში, სენაკის ტარა-ბაზის განყოფილებაში, იყავი მოწესრიგებული და თადარიგიანი. სტუმართმოყვარეობით ცნობილი, ცდილობდი ხელი გაგემართა თანადგომის საძიებლად მოსული მოკეთისათვის. შრომისმოყვარეობა და სიკეთე ჩაუნერგე შენს შვილებს. ასწავლიდი მოთმინებას, ადამიანების სიყვარულს.

მტკივნეულია შენი არყოფნა ოჯახისათვის, მეზობლებისა და მეგობრებისათვის. ცრემლებით გვევსება თვალები, როცა ვიგონებთ შენს ღიმილიან სახეს და ხალისიან გულს.

ჩვენო ილუშა, ვლოცულობთ შენთვის, შევთხოვთ უფალს დაუმკვიდროს ნათელი შენს სხივიან სულს, გვჯერა ბუმბულის სიმსუბუქე ექნება შენს გულზე დაყრილ მშობლიურ ნოსირის მიწას.

ნელი ჯანჯღავა

XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲣᲥ-ᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘ

რეპრესირებული მწერალი - მოსე გვასალია

დრო-ჟამის უკუღმართობით ცხოვრება გამწარებული, უკანონოდ რეპრესირებული სახელოვანი მწერლის, მოსე გვასალიას დაბადებიდან 100 წლის იუბილე ჯეროვნად ვერ აღინიშნა. ახლა სრულდება მისი ქვეყნად მოვლინებიდან 110 წელი და მაქვს პატივი, მკითხველს მოკლედ მოუთხრო მის დამსხვრეულ ბედისწერასა და ნაყოფიერ შემოქმედებაზე.

იგი დაიბადა 1910 წელს 21 იანვარს სენაკის რაიონის სოფ. ხორშში, გლეხის ოჯახში. ნიჭიერმა ყმაწვილმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და ასევე წარმატებით დაამთავრა 1931 წელს. სტუდენტობის ჟამს აქტიურად ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას, წერდა მოთხრობებს და აქვეყნებდა, რომელიც მკითხველთა მოწონებას იმსახურებდა . ამან ახალგაზრდა მწერალს მისცა სტიმული და სასწავლებლის დამთავრებისთანავე გამოსცა მოთხრობების კრებული, სახელწოდებით „ ჩამქრალი კერა ". მაშინ მოსე გვასალია 21 წლისა იყო. შემოქმედებითი წვით ანთებულ, ქართულ სიტყვა კაზმულის ძიების პროცესში ჩართული .იმ ხანად თბილისში ნიჭიერი ახალგაზრდების დიდი ნაწილი ან ცისფერყანწელების " ან „ფუტურისტულ" გაერთიანებებში აქტიურობდნენ. მოსე გვასალია, როგორც ახალგაზრდა ლიტერატორთა უმრავლესობა ეროვნული იდეებით იყო გამსჭვალული. მას წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 25 წლის ასაკში მკითხველთა სამსჯავროზე გამოაქვს რომანი „სურამი". რომელიც სიუჟეტური ქარგით, ენობრივი დახვეწილობითა და მწერლური მიგნებებით გამორჩეულია.

როცა სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობენ ქართული პროზისა და პოეზიის კორიფეები: მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები, დიდი გაბედულებაა საჭირო კალამს მოჰკიდო ხელი და იზრუნო საკუთრი ნაფიქრითა და ნაღვაწით ახალი სხივი შეიტანო ქარულ ლიტერატურაში , როცა ევროპა მოვლილი, შემოქმედებითი წვით ანთებული ადამიანები მხატვრული აზროვნების მოწინავე იდეებს ნერგავენ.

მოსე გვასალია, მართლაც გაბედულია და ნიჭიერი.. იცის კომუნისტური რეჟიმის პირობებში ევროპაში გასვლა მისთვის შეუძლებელია, ამიტომ მეგობრობს ადამიანებთან, რომლებმაც რევოლუციამდე მოასწრეს ევროპული კულტურის „ნექტრის" გასინჯვა და ერისა და ქვეყნის სიყვარულით არიან დაბანგულნი . აშკარად ამხელენ სულის დაობლებას. ცივი მწუხარებით განიცდიან „პროლეტარული" მწერლობის დამკვიდრებას, რაც ბოლშევიკური ყოფითა და ცენზურის ზეგავლენითაა ნაკარნახევი.

მოსე გვასალია ახალგაზრდული ენერგიითა და მოჭარბებული შემოქმედებითი წვით ცდილობს მართალი სიტყვის თქმას. თუმცა იცის მწერალთა კავშირის წევრებს შორის დაწყებულია „წმენდა". ვინც არ წყალობს კომუნისტურ ხელისუფლებას ის გაირიყება და უფრო მეტი, შესაძლოა მწარედ დაისაჯოს. მოსე გვასალია ჭეშმარიტი ეროვნულ გზაზე რჩება. მთავრობა ღიად და ხმამაღლა აცხადებს „მწერალთა კავშირში თუ მოქმედებდა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, ჩვენ მას ხერხემალს გადავუმტრევთ". იწყება ეროვნულ ნიადაგზე მდგომი სახელოვანი პროზაიკოსებისა და პოეტების რეპრესიები. დააპატიმრეს ნიკოლოზ მიწიშვილი და დახვრიტეს. თავი მოიკლა პაულო იაშვილმა, დახვრიტეს ტიციან ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი.

მთვარობა კვლავ აცხადება „ახლა თუ კიდევ სადმე დარჩა მათი კუდები უნდა მოვძებნოთ, ზოგი გადავხარშოთ და ვინც გამოუსწორებელია გავაგდოთ."

რეპრესიების მსხვერპლი გახდა უკვე შემდგარი და გენიად მონათლული მწერლები. ისეთებიც რომელსაც მომავალში თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. ზოგიერთმა გაქცევით უშველა თავს - საზღვარგარეთ გაიქცა გრიგოლ რობაქიძე, მაგრამ ვინც ვერ შესძლო გაქცევა დაუმსახურებელი კრიტიკისა და ფიზიკური ზემოქმედების მსხვერპლად იქცნენ.

1937 წლის 17 მარტს მწერალთა კავშირში გაიმართა სხდომა . სადაც მთავრობის მომხრე, დემეტრაძის ანგარიში იქნა მოსმენილი, რომელმაც აშკარად განაცხადა, რომ „ჩვენი კავშირის პარტიულმა ნაწილმა დროზე ვერ გამოიჩინა კლასობრივ სიფხიზლე, თავი მივეცით პოლიტიკურ უდარდელობას. ქიქოძე- ტოროშელიძის კონტრრევოლუციურმა საქმიანობამ დამღუპველი გავლენა იქონია ახალგაზრდა მწერლების ნაწილზე, ტოროშელიძე მფარველობს უნიჭო ახალგაზრდა მწერლებს, რომ უნარიანი ახალგაზრდა მწერლები დაეჩრდილა. ამას სჩადიოდა განზრახ"

ამ ცილისმწამებლური განცხადებას მოყვა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ნიჭიერი ახალგაზრდების დაპატიმრება და გადასახლება. მათ შორის აღმოჩნდა მოსე გვასალია.

27 წლის ასაკში, შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანაში სამეულმა მას შემდეგი განჩინება გამოუტანა: „ ტროცკისტულ- ტერორისტულ დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციისა და მალაქია ტოროშელიძის დავალებით ლიტერატურულ ასპარეზზე ეწეოდა კ|რ საქმიანობას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ნერგავდა ტროცკისტულ იდეებს ლიტერატურულ ნაწარმოებებში"; განაჩენს ხელს აწერდნენ; პანკოვი. რაფავა, წერეთელი და ტალახაძე.

ეს ხდებოდა მიზანმიმართულად, რომ ნიჭიერ ახალგაზრდები „დაედუმებიათ", ძარღვებში სისხლი გაეყინათ. მოეშორებინათ ეროვნული ფესვებისათვის, დაენგრიათ მათი მომავალი. ნაწილობრივ ეს მოახერხა ხელსუფლებამ. მოსე გვასალიას ათი წლით მიესაჯა გადასახლება შორეულ აღმოსავლეთში- კომის რეპუბლიკაში.

ეს გახლავთ ის ოქროს ათი წელი, რომელიც ფაქტობრივად მოპარე ნიჭიერ შემოქმედს. „ჩეკას" მუდმივი მეთვალყურეობს ქვეშ იბრძოდა იგი სიცოცხლის გადარჩენისთვის. უცხო მხარეში, სამშობლოს ფესვებს მოწყვეტილი ეძებდა კეთილშობილებას და თვალებში უმზერდა ბოროტებას. მთელი ათი წელი მუდმივად ელოდა სიკვდილს, მაგარმ სისასტიკესა და უკანონობას გაჯიბრებული გადარჩა.

სულიერად დაცარიელებული და შეურაცხყოფილი ჩამივიდა სამშობლოში, მაგარმ არ დარჩა დედაქალაქში, სადაც მეტნაკლებად ღვივოდა ლიტერატურული ცხოვრება. განერიდა მუდმივ თვალთვალსა და ჩასაფრებულ მზერას. მიაშურა აფხაზეთს და კილასურში დასახლდა. თუმცა მის მიმართ კვლავ გრძელდებოდა მიყურადება. გრძნობდა ფარული თვალთვალს, რაც ხელს უშლიდა ლიტერატურულ საქმიანობაში. როცა სტალინური ხანა დასრულდა შემდეგ მუშაობა დაიწყო აფხაზეთის გამომცემლობა „აშარა"- ში და ნელ-ნელა (თითქმის ოცდაათწლიანი იძულებითი დადუმების შემდეგ) კვლავ მოიკრიბა ძალები და დაუბრუნდა საყვარელ საქმიანობას- მწერლობას.

ამჯერად ხელი მიჰყო სოფლის ცხოვრების აღწერას. რაც მისთვის ბუნებრივი და მახლობელი იყო. მიღებული მძიმე „წნეხისაგან" საბოლოოდ ვერ განთავისუფლდა. იძულებული შეიქნა აღეწერა საბჭოთა ადამიანის ყოფა და ცხოვრება, თუმცა მხატვრული დონე, ენობრივი ქარგა და სიწმინდე, სცენების ოსტატურად აღქმა და გადმოცემა. მისი ძლიერ მხარედ დარჩა.

ამაზე მეტყველებს მისი რომანი „ქალიშვილის დღიურიდან" რომელიც 1964 წელს გამოიცა. მას მოყვა „ობლის კვერი"- 1970 წ. ეს გახლავთ შესანიშნავი რომანი თავისი. სიუჟეტური წყობითა და მხატვრული დეტალების მაქსიმალური დატვირთვით. სივრცესა თუ დროის მონაკვეთზე კოლხური ბრწყინვალების წარმოჩენის დემონსტრირება.

მწერალმა მოგვიანებით გამოსცა „მამის სახლი"- 1975 წ. ხოლო ხუთი წლის შემდეგ „არამხუტუ". ცოტა მოგვიანებით „ტყაჩუ". ხოლო მოთხრობების კრებული „ქარვის მძივი" 1987 წ. ხოლო რუსულ ენაზე ითარგმნა და მოსკოვში დაისტამბა რომანი „ სურამი".

მიუხედავად რეპრესიისა და უდანაშაულოდ დასჯისა მ. გვასალია მაინც ბოლომდე დარჩა საკუთარი ქვეყნისა და მწერლობის ერთგული. სიცოცხლის ბოლომდე კალამმომარჯვებული ემსახურებოდა არჩეულ პროფესიას. გამოირჩეოდა თავისი ინდივიდუალური ხელწერით. ლიტერატურულ სახეების ფერთა სისადავითა და სიმრავლით. .მისი მთავარი მიზანი იყო კონტრასტული საღებავებით გამოეძერწა პერსონაჟები და სათანადო განწყობა შეექმნა მკითხველისთვის. ქალიშვილი ელენე იხსენებს.

როცა გამოუცხადეს, რომ ის უდანაშაულოდ იყო გადასახლებული და ბოდიში მოუხადეს ამისთვის. რამდენიმე დღე ნერვიულობაში გაატარა. უმთავრესად განიცდიდა იმას, რომ მას ნიჭი და შესაძლებლობები დაუმსხვრიეს. შემდეგ „ დიაბეტი " დაავადდა და სიცოცხლის ბოლომდე ებრძოდა ავადმყოფობას .

უკუღმართობის დავიწყება რომელიც მ. გვასალიამ გამოიარა შეუძლებელია. ადამიანების სიცოცხლის ხელაღებით მოსპობა არ დაგვავიწყებს თავს . ის შუქ - ჩრდილები, ის ცოდვა- მადლი, რომლთაც ასე სავსე იყო მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი. კონტრასტულობით სავსე წლები, შავი ხვრელივით დარჩა ერის მეხსიერებაში. დღემდე არ გვაძლევს მოსვენებას. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კარგად გვახსოვს საბჭოთა იმპერიაში მყოფ ქართველების მდგომარეობა .

მოსე გვასალია ერთი იმათთაგანა, რომელსაც ახალგაზრდობის წლებში ჩაუქრეს შემოქმედებითი ლამპარი, მოკვეთეს სამშობლოდან, წაართვეს თავისუფლება, მაგრამ არ დანებდა ბედისწერას და მძიმე და მონდომებული შრომის შედეგად მოახერხა ძალების მოკრეფა და ლიტერატურულ სარბიელზე წონადი სიტყვის თქმა.

მისი ნაწარმოებები დღესაც ცოცხალი ნერგივით ფეთქავს.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ

აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურიატი.

სენაკი-ინფრასტრუქტურული პროექტები

2019 წელი სენაკის მუნიციპალიტეტში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ინფარსტრუქტურული პოექტების განხორციელების თვალსაზრისით. სხვადასხვა კომპანიების მიერ შესრულდა მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ამჯერად გესაუბრებით შ.პ.ს. „დაგის“ მიერ 2019 წელს განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. რომლის დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ, ბატონი დათო ადამია.

ბატონმა დათომ დაწვრილებით გვიამბო მისი შ.პ.ს. საქმიანობის შესახებ. აღნიშნა, რომ შ.პ.ს „დაგს“ ძირითადად დასაქმებული ჰყავს ადგილობრივი მაცხოვრებლები, რაც ერთობ მნიშვნელოვანია.

შ.პ.ს. 2019 წლიდან დღემდე ასრულებს სარემონტო აღდგენით სამუშაოებს სენაკის მუნიციპალიტეტსა და მის სოფლებში. შესრულებული სამუშაოების საერთო თანხა ჯამში შეადგენს 990 838,92 ლარს.

დაწვრილებით გთავაზობთ რეაბილიტირებული ობიექტების ჩამონათვალს და ხარჯთაღრიცხვას.

1. სენაკის სასპორტო სკოლის გათბობა და რემონტი – 72173 ლარი
2. სენაკის სამშობიარო სახლის გათბობა და რემონტი – 48.989 ლარი
3. სენაკის სოფლების ამბულატორიების რეაბილიტაცია 151383.36 ლარი
4. სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლების (თეკლათი, მენჯი, ეკი) რემონტი – 126849 ლარი
5. სენაკის №3 საჯარო სკოლის რემონტი 6374 – ლარი
6. სოფელ ეკის საჯარო სკოლის რემონტი 9600 ლარი
7. სოფელ ზანის ადმინისტრაციული შენობისა და სახურავის რეაბილიტაცია 12755.01 ლარი
8. სენაკის მუნიციპალიტეტის სტიქიით დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია 140048.04 ლარი
9. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ (ეკი, ხორში. უშაფათი. ფოცხო) – 180424.75 ლარი
10. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ზ/ ჭალადიდის თემში 30168.36 ლარი
11. სამუსიკო სკოლის სველი წერტილის რემონტი – 10200 ლარი
12. სენაკის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია (ვაჩნაძისა და ტაბიძის ქუჩები) 98111 ლარი 2442.03 ლარი 97721.37 ლარი
13. სენაკში რუსთაველის ქ. №116-ში ტერიტორიის შემოკავება 3600 ლარი

რაც შეეხება მიმდინარე პროექტებს, რომლებიც ეხლაც მიმდინარეობს. ეს არის სახოკიას ქუჩაზე ლამპიონების მოწყობის სამუშაოები და ზემო ჭალადიდის საჯარო სკოლაში სველი წერტილების რეაბილიტაცია. აგრეთვე გრძელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია.

გაზეთი „კოლხეთი“ შეეცდება პერიოდულად სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა შ.პ.ს-ისა თუ კომპანიების მიერ ჩატარებული სარეაბილიტაციო თუ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ.

მარიკა მიქაბერიძე

მკითხველთა საანგარიშო კონფერენცია

ყოველი წლის იანვრის თვე, საბიბლიოთეკო ცხოვრებაში იწყება მკითხველებზე ანგარიშის ჩაბარებით, მიმდინარე წლის 24 იანვარს ხალხმრავლობა იყო საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, მოწვეულ სტუმრებთან ერთად იყვნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები, აუდიტორიის წინაშე წარსდგა ბიბლიოთეკის სპეციალისტი ლუიზა კემულარია, რომელმაც წარადგინა ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანამომხსენებელი იყო საბავშვო ბიბლიოთეკის სპეციალისტი ნინო გვასალია. ყურადღება გამახვილდა წინა საანგარიშო კონფერენციაზე წამოჭრილ საკითხებზე, რომლებიც ნაწილობრივ შესრულდა, მოიმატა ხელფასმა, შეკეთდა კონდიციონერი, კომპიუტერი და აქვე გაჟღერდა, რომ 2020 წლის ბიუჯეტში ჩაისვა თანხა ბიბლიოთეკის კაპიტალური რემონტისათვის, ინვენტარ-მოწყობილობების შესაძენად. ჩვენს ხანდაზმულ ქალბატონებს მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: ქალბატონები გული კირცხალია, ირინა ნეჩაევა, ახალგაზრდა მკითხველი გვანცა პარკაია, ბატონები: დამირ კუჭავა, ბედის დავითაია, ენვერ სანაია, გურამ აბულაძე. კონფერენციას ესწრებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ბატონი გივი მისაბიშვილი, რომელმაც ისაუბრა ბიბლიოთეკის საქმიანობაზე და დადებითად შეაფასა მათი მუშაობა.

წინა წლის კონფერენციაზე გადაწყდა შეგვერჩია 2019 წლის საუკეთესო მკითხველი, მრავალთვიანი მუშაობის შემდეგ, თითქმის მოთხოვნილი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა გვანცა პარკაიამ, და მას მიენიჭა 2019 წლის საუკეთესო მკითხველის წოდება, საპატიო სიგელი გადასცა ბატონმა გივი მისაბიშვილმა, გვანცა პარკაიამ მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს ნდობისათვის, ისაუბრა წიგნის როლზე, მის ცხოვრებაში. ახალ ინოვაციებზე და პირობა დადო არასოდეს დაივიწყებდა ბიბლიოთეკის დახმარებას მის ცხოვრებაში.

ბიბლიოთეკის მუშაობა შეფასდა დადებითად.

ი. ჯიმშელეიშვილი

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499